დავით გაბუნია

თურქი ბიჭის, სეფიდეხ ნესინის ცხოვრება და აღსასრული

მოქმედი პირნი:

ლია - ქართველი დედა, შუა ხნის, თურქეთში მომუშავე

ნინო - მისი შვილი, 22 წლამდე

თეკლა - მისი შვილი, 20 წლამდე

მიშა - თურქეთში საქართველოს საელჩოს თანამშრომელი, რომელიც მათ უსმენს

::::::

ლია: რა არ მეტყობა, რას ვგავარ. მოსამსახურედ დგომა და მუშაობა თქვენ ადვილი გგონიათ?

მიშა: (კი მაგრამ, ბატონი ნესინი თქვენი ქმარი არ იყო?)

ლია: ცოლად მომიყვანა კი. მანამდე სამი წელი ვმუშაობდი მის სახლში, ქვრივი იყო და ბოლოს, მოდი, ბარემ ცოლად მოგიყვანო და გავყევი.

მიშა: (სეფიდეხი რამხელა იყო, მათ ოჯახში რომ შეხვედით?)

ლია: სეფიდეხი ერთი შვილი ყავდა მარტო თავისი გარდაცვლილი ცოლისგან. მე რომ მანდ დავიწყე მუშაობა, 12 წლის იყო. შეიძლება ითქვას, ჩემი გაზრდილია.

მიშა: (თქვენი შვილები საქართველოში დატოვეთ?)

ლია: ნინო და თეკლა დიდები იყვნენ უკვე და არ შემეშინდა დედაჩემთან დატოვება. კი მენატრებოდნენ. მართალია, ზაფხულობით ჩემთან მიმყავდა თურქეთში, მაგრამ მაინც როგორია, მთელი წელი რომ ვერ ნახულობ შენს გოგოებს, სულ მენატრებოდნენ. ნესინ ეფენდის ცოლად რომ მოვყავდი, საკითხი დავუსვი, ჩემი გოგოები უნდა გადმოვიყვანო აქეთ, თორემ ისე ვერ გავძლებ-მეთქი. 2007-ში ჩამოვიყვანე ნინო და თეკლა ჩემთან და იქიდან მოყოლებული ერთად ვცხოვრობდით. სეფიდეხისთვის უფროსი დებივით იყვნენ, თუმცა, ისეთი დიდი სხვაობა მაინც არ იყო ასაკში მაგათ შორის.

მიშა: (როგორ ექცეოდა ნესინ ეფენდი გოგოებს?)

ლია: შვილებად მიიღო ჩემი თეკლა და ნინო. სულ უკვირდა, ასეთი ანგელოზივით ბავშვები გყავდა და შენმა ქმარმა როგორ მიგაგდოთო. მოკლედ, საყვედურს ვერ ვიტყვი. კარგად ექცეოდა გოგოებს, ჯიბის ფულსაც აძლევდა. ის კი არა, ნინოს სულ აქეზებდა, ენა კარგად ისწავლე და უნივერსიტეტში სწავლის ფულს მე გადაგიხდიო.

მიშა: (როგორ მოკვდა, რა დაემართა?)

ლია: გულით ავადმყოფი იყო ყოველთვის, ადრე, სანამ მე მანდ მუშაობას დავიწყებდი, რაღაცა სერიოზული ოპერაციაც ქონია გულზე გაკეთებული ანკარაში. ხოდა, ვერ გაუძლო ეტყობა. რაიმე მიზეზი კონკრეტული არ ყოფილა. შუადღეზე დამირეკა სეფიდეხმა, მამა ცუდადაა და ჩქარა, მოდი სახლშიო. გამოვიქეცი მაღაზიიდან, მაგრამ სანამ სახლამდე მოვაღწიე, მკვდარი დამიხვდა. სასწრაფოც კი იყო მოსული, მაგრამ ვერ უშველიათ ვერც იმათ. ესე იგი, ბედი არ მქონია ამ ქმრებში. ქართველი იყო და, ორი ბავშვით ხელში მიმატოვა და თურქი თითქმის ხელში ჩამაკვდა.

მიშა: (ქმრის სიკვდილის შემდეგ როგორ ცხოვრობდით?)

ლია: არ შემიძლია მეტის მოყოლა მე.

ნინო: მამინაცვალი რომ დავმარხეთ, იმ დღიდან მოყოლებული სეფიდეხი ძალიან შეიცვალა.

მიშა: (რამდენი წლის იყო მაშინ?)

ნინო: 17 წლის იყო. უფრო სწორედ, მარტში გახდა ჩვიდმეტის. ჩემზე ხუთი წლით პატარა იყო. თეკლაზე სამით.

მიშა: (თქვენ როგორი ურთიერთობა გქონდათ?)

ნინო: განსაკუთრებით ახლოს არასდროს არ ვყოფილვართ. ძმასავით მიყვარდა-მეთქი,რომ ვთქვა, მოვიტყუები. თეკლასთან უფრო ახლოს იყო. ჩემთან - ისე რა.

მიშა: (გქონიათ თუ არა მასთან რაიმე სახის კონფლიქტი?)

ნინო: არა, რა კონფლიქტი. წყნარი ბიჭი იყო. საერთოდ არ სვამდა, მორწმუნე იყო. ხო იცით, ეგენი არ სვამენ. მეც მიშლიდა, სადმე ჩემს მეგობრებთან თუ დამინახავდა, ჩვენი ოჯახი სულ მორწმუნეები ვიყავით და ეგეთი საქციელი არ გეკადრებაო. მე მაინც ვერ შევეგუე ეგრე უცებ. არასდროს ძმა არ მყოლია და ახლა ეს ბიჭი უცებ რანაირად უნდა გამხდარიყო ჩემი ძმა.

მიშა: (მამის სიკვდილის შემდეგ ძალიან შეიცვალაო, რომ თქვით, რაში გამოიხატებოდა ეს ცვლილება?)

ნინო: რაში და ძალიან ჩაიკეტა. იშვიათად გველაპარაკებოდა მე და თეკლას. ერთხელ დედას ეუხეშა, შენი თავი ვინ გგონიაო. მამაჩემის ცოლი რომ იყავი, ბევრს არაფერს ეგ არ ნიშნავსო. მერე კი მოუხადა ბოდიში, მაგრამ ძალიან აწყენინა დედას.

მიშა: (სხვა შეკამათება, რაიმე სადაო საკითხი თუ ყოფილა?)

ნინო: არა. სხვა არაფერი არ მახსენდება. ჩვეულებრივად ვცხოვრობდით.

მიშა: (მკვლელობა ვისი იდეა იყო?)

პაუზა.

თეკლა: ჩემი. პირველად მე ვუთხარი დედას და ნინოს.

მიშა: (მიზეზად რა დაასახელეთ?)

თეკლა: დედამ ერთხელ ხუმრობით მითხრა, სამი წლით შენზე პატარა კია, მაგრამ იქნება ცოლად გაყვე, იფიქრე ამაზეო.

მიშა: (სეფიდეხთან თუ გისაუბრიათ ამაზე?)

თეკლა: არა. დედა ამბობდა, პატარაა ჯერ, ადრეა მაგისთვის ცოლის შერთვაო და შესაფერის დროს ველოდებოდით. თანაც, არ ვიცოდით, რა რეაქცია ექნებოდა. თავისებური ბიჭი იყო ძალიან, მამის სიკვდილის მერე ხო მთლად ჩაიკეტა და აღარც გველაპარაკებოდა.

მიშა: (თქვენ გიყვარდათ სეფიდეხი?)

თეკლა: რა სისულელეა. არასდროს. უბრალოდ, გვეშინოდა, რომ ერთ დღესაც მოგვისვრიდა სახლიდან. კანონით მემკვიდრე ეგ იყო ყველაფერის.

მიშა: (როგორ, დედათქვენი ოფიციალური მეუღლე არ ყოფილა?)

თეკლა: არა. ოფიციალურად არ ყოფილან დაქორწინებული. სულ სამომავლოდ დებდა ნესინ ეფენდი და ამასობაში კი მოკვდა. სეფიდეხს ერთი ხელი რომ დაექნია, სამივეს გამოგვაპანღურებდა.

მიშა: (და მკვლელობის უშუალო საბაბი რა იყო?)

თეკლა: რა და, ერთ დღეს სახლში გოგო მოიყვანა და გაგვაცნო, ეს ჩემი საცოლეაო. თურქი გოგო იყო, ვერ ვიტყოდი, რომ განსაკუთრებით ლამაზი. საერთოდ, იშვიათად არიან ეგენი ლამაზები. მაშინ მივხვდით, რომ უნდა გვემოქმედა. დედაჩემის ამდენწილიან მონურ შრომას წყალში ვერ ჩავყრიდით.

მიშა: (დეტალურად მომიყევით, რა და როგორ გააკეთეთ.)

პაუზა

ნინო: თუ გინდა, მე მოვყვები.

თეკლა: არა.

ლია: თქვენ აქ იმისთვის ხართ, რომ დაგვეხმაროთ. პროკურორი სასამართლოზეც გვეყოფა, რა უფლებით გვთხოვთ პასუხს?

მიშა: (თუ გინდათ, რომ დაგეხმაროთ, უნდა მომიყვეთ. სხვანაირად არ გამოვა. თუმცა, თქვენი ნებაა, შემიძლია, წავიდე, თუ არ გინდათ.)

(წამოდგება.)

თეკლა: არა, არ წახვიდეთ! (პაუზა) ხო... ღამე შევუვარდით საწოლში. ეძინა.

მიშა: (რომელი საათი იყო?)

თეკლა: დაახლოებით 3-ის ნახევარი. კარი ჩუმად გავაღეთ და სამივენი შევედით. მშვიდად ეძინა. სუნთქვის ხმაც არ გვესმოდა.

(ლია დგება და სწრაფი ნაბიჯით გადის)

თეკლა: დედა ჩვენ სამს შორის ყველაზე ძლიერია. ამიტომ ბალიში დედამ აიღო და სახეზე დააჭირა. მე ტანზე დავახტი, ნინო ფეხებს უკავებდა. დიდხანს მოვუნდით ძალიან. რომ გვეგონა, ისე მალე არ მოკვდა. დედა მთელი ძალით აჭერდა ბალიშს. მოძრაობა რომ შეწყვიტა, ნინომ დაუყვირა დედას, რამეს არ აფერისტობდეს, ჯერ არ ახსნა ბალიშიო. კარგა ხანს ვიყავით ასე ჩაფრენილები - დედა მთელი ძალით აწვებოდა, მე და ნინო ტანს და ფეხებს ვუკავებდით, სანამ ბოლომდე არ დავრწმუნდით, რომ მოკვდა.

მიშა: (გვამის დაჭრა ვისი იდეა იყო?)

ნინო: ერთად მოვიფიქრეთ. რამე ხომ უნდა გვექნა გვამისთვის? ასე ხომ ვერ დავტოვებდით? დანები და სალესი მე მოვიტანე სამზარეულოდან. ერთად გავლესეთ. (სიტყვა უწყდება)

თეკლა: დილამდე მოვუნდით. თეთრეული, საბანი, ლეიბი, სულ გადასაყრელი გახდა.

მიშა: (გვამს რა უყავით?)

ნინო: სამ სხვადასხვა ადგილას წავიღეთ და სანაგვე ბუნკერებში ჩავყარეთ.

მიშა: (ჩადენილ საქციელს ნანობთ?)

თეკლა: კი. იგივე სიტუაციაში რომ ვიყო ახლა, ამას არ ვიზამდი. მაგრამ მაშინ გვეჩვენებოდა, რომ სხვა გზა მართლა არ გვქონდა.

სწრაფი ნაბიჯით შემოდის ლია. თავის ადგილას ჯდება.

ლია: დაანებეთ ჩემს შვილებს თავი. ამათ არაფერი არ იციან. ყველაფერი მე გავაკეთე, მარტომ. ჩემი ბრალია. მე მოვიფიქრე და თვითონ გავაკეთე. ხო, იმიტომ, რომ არ მინდოდა ამდენი შრომის წყალში ჩაყრა. რაც მე იმ სუნიანის ტუალეტი მიხეხია, რაც მე იმასთან ძალით ვწოლილვარ, თქვენ გგონიათ, ძალიან მიხაროდა? ჩემს დღეში ერთი არ გამიხარია და ვიღაცა დამპალი თურქის ნაბიჭვარს არ მივცემდი უფლებას, ჩემთვის ბედნიერება წაერთმია. ბოლოს და ბოლოს, მაქვს თუ არა უფლება, ბედნიერი ვიყო? ბევრს ვითხოვ? ჩემთვის და ჩემი შვილებისთვის მინდოდა ნორმალური, უზრუნველყოფილი ცხოვრება. ხოდა, ავდექი და მოვკალი, მარტომ მოვახრჩვე ის დამპალი ბავშვი, მერე დავკუწე და სანაგვეში გადავყარე.

მიშა: (ოფიციალურ ჩვენებაში სხვანაირად ამბობთ)

ლია: შევცვლი ჩვენებას. ჩემია და რასაც მინდა, იმას ვიზამ.

მიშა: (არ იქნება ეგრე იოლი ეგ საქმე.)

ლია: მე ჩემსას ვეცდები. ჩემი შვილების ბედნიერებისთვის გავაკეთებ ყველაფერს.

მიშა: (ანუ, ჩადენილ საქციელს არ ნანობთ.)

ლია: არა. არავითარ შემთხვევაში. ერთადერთი იმას ვნანობ, რომ სულელივით მოვიქეცი და თავი გავიყიდე. უკან დაბრუნება რომ შემეძლოს, უფრო ფრთხილად გავაკეთებდი ყველაფერს და ვერ დამიჭერდნენ.

მიშა: (კიდევ რაიმეს თქმა ხომ არ გინდათ? იქნებ მე გამომრჩა რამე?)

ლია: მეტი რა უნდა გითხრათ. თქვენი მოვალეობაა, რამენაირად დაგვეხმაროთ. ხომ ვართ საქართველოს მოქალაქეები, კარგი თუ ცუდი, რა მნიშვნელობა აქვს? თქვენ არ გაქვთ უფლება, ასე მიგვაგდოთ და უყურადღებოდ დაგვტოვოთ.

მიშა: (ხვდებით თუ არა, რომ თქვენი მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა?)

ლია: დიდი მადლობა. თქვენგან არაფრის იმედი რომ არ უნდა მქონდეს, ეგ დიდი ხანია, ვიცი. ყველაფერი ყოველთვის ჩემი გასაკეთებელი იყო. გადაგვცემენ საქართველოს თუ თურქეთის სასამართლო გაგვასამართლებს?

მიშა: (თქვენთვის ამას მნიშვნელობა აქვს?)

ლია: რა თქმა უნდა. აქ ადვოკატის ფულიც არ გვაქვს, სამუდამოს მოგვისჯიან და შეწყალების იმედიც არ უნდა გვქონდეს. თანაც, თურქები არ გვაპატიებენ და ციხეში ნამდვილად ვერ გადავრჩებით, თავისიანის მკვლელობას ვინ შეგარჩენს? საქართველოში გაგვასამართლონ და სასჯელს იქ მოვიხდით. საქართველოში მინდა ციხეში, ქართველებმა მაინც სხვანაირი გატანა ვიცით ერთმანეთის. თანაც, ციხეში ზიხარ, თუ თავისუფალი ხარ, სულერთია - საქართველოში გვირჩევნია მე და ჩემს შვილებს, ბოლოს და ბოლოს, ისე არ გადავჯიშებულვართ ჯერ, მაინც ქართველები ვართ.

სიბნელე